



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება № 197



2011 წლის 23 დეკემბერი  
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხაშურში, სტალინის ქ. N20ა-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1936 კვ.მ მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (მიწის /უძრავი ქონების/ საკადასტრო კოდი N 69.08.29.080) საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 21.11.2011 წ. N 05/26986 წერილით გვთხოვენ განხილულ იქნას ქ.ხაშურში, სტალინის ქ. N20ა-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის, მასში მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირებისათვის დაკავებული ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების საკითხი.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული თავის საკუთრებაში არსებულ ქონებას განკარგავს „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლი ითვალისწინებს უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მიტოვების შესაძლებლობას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის მუხლის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხაშურში, სტალინის ქ. N20ა-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1936 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი N 69.08.29.080) საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვება.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გამოსცეს ბრძანება დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების მიტოვების შესახებ.
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს დადგენილი წესის შესაბამისად საჯარო რეესტრში მიტოვების რეგისტრაცია.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ხაშური, ტაბიძის ქ. №2), ხოლო შემდგომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

